# კავკასია

1989 ნოემბერი №2

სამეცნიერო, მხატვრული, პოლიტიკური გაზეთი


რამეთუ სომეხთა, ქართველთა
რანთა
ჰერთა
კავკასიანთა
ერთი იყო
მამა
ქართლის ცხოვრება

კავკასიელ ხალხთა ღვთიურ საფუ-
ძველზე გამაერთიანებელი სახე-
ლმწიფოს სასიცოცხლო ხატი

კავკასიური წარმოშობისა და მათი ათასწლოვან გვერდით მაცხ-
ოვრებელი ხალხი, ერთი საყოფიერო და კოსმოგონიური თვალსაწი-
ერის მატარებელი ხალხია. მათი კვლავ მოქმედი და ღირებული
ტრადიციები, ერთიანი ფილოსოფიური და თეოლოგიური კორდინატე-
ბის მქონეა. გაზეთი "კავკასია" შეეცდება თანმიმდევრულად:
როგორც მეცნიერული, ისე მხატვრული ფორმით წარმოაჩინოს და
ხაზგამდოება დაარწმუნოს კავკასიელ ხალხთა კონსოლიდაციის
აუცილებლობასა და მათი ტრადიციების ღირებულ მნიშვნელობაში.

## კავკასიური წარმოშობის ხალხთა ადათის პოლიტიკური და მეცნიერული საფუძვლების თეზისები (გაგრძელება)

რესპუბლიკური თუ ტრანს-რესპუბლიკური
კორუფცია სხვა კავკასიელ ხალხსაც ახ-
რჩობს.

კავკასიაში გაბატონებული შუასაუკუ-
ნოებრივი, ერთმანეთის საპირისპირო ეთი-
კა. თანამედროვე სახელმწიფო იდეოლოგიის
გვერდითაც კარგად გრძნობს თავს და სამ-
შვიდობო ლოზუნგების საფარქვეშ ძირეთი-
ანი კავკასიური წარმოშობის ხალხებს ერ-
თმანეთზე სასისხლოდ ასისინებს.

ბრიგადირიდან დაწყებული მაღალი სა-
ხელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელა-
მდე, კორუფციაში გაწრთვნილი, ოქროს მო-
ხვეჭაში გაფაციცებული ელიტა ზიზღით შე-
ჰყურებს მისთვის გამოუსადეგარ ყოველივე
ეროვნულს, რასობრივს, აბუჩად იგდებს აბ-
გილობრ.ვი წარმოშობის მორალურ ღირებუ-
ლებებს, სდევნის და ნაწილ-ნაწილ გლეჯს.
საკუთარ ხალხს. ამ ელიტას არ შეიძლება
ერის, ქვეყნის მმართველი ინტელიგენცია
ეწოდოს.

იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ხალხ
თავისი კუთხის ეთიკისათვის არასოდეს უღა
ლატია, მისთვის დამახასიათებელია მოქა-
ლაქეთა შორის თანასწორობა და ტრადიციი-
სადმი პატივისცემა.

დღეს, როცა ხელოვნურად შექმნილი, სი-
სხლზე მოცურავე სოციალურ თანასწორობას
საფუძველი ეცლება, საზოგადოება ნებით თუ
უნებლიედ კვლავ ებმება ოფიციალურად და-
შვებულ რბევა-წაგლეჯაში. იქმნება საში-
შროება, რომ კავკასიური მესიანიზმის ერ-
თერთი ძირითადი საყოფიერო წესი ზედ გა-
დაჰყვება ხელოვნურ დემოკრატიას და სეძ-
კვიდრეობითი ელიტარული პრინციპები კვლავ
ფეხს მოიკიდებს. ასეთ შემთხვევაში კავ-
კასიური მოდგმის ხალხი თავს ვალდებულად
თვლის ტრადიციულ ადათზე დაყრდნობით შე-
ქმნას საერო ურთიერთობათა კანონმდებლო-
ბა, კავკასიელ ხალხთა თავისუფალი საზო-
გადოების ერთობა გამოაცხადოს და საქვე-
ყნო საქმის მოგვარება ივალდებულოს.

კავკასიური მოდგმის ხალხი ძირძველი
ეთიკის ხალხია, რომელთა საყოფიერო წე-
სი, ადათის გენეტიკური საფუძვლები ან-
ტიკურამდელ სრულყოფილ კოსმოგონიურ თვა-
ლსაწიერს ეყრდნობა. კავკასიური მოდგმის
ხალხის რასობრივ ნიშნებსა და ანთროპო-
ლოგიურ წარმოშობას საერთო მესიანიზმი
და მასზე აღმოცენებული ტრადიციები აერ-
თიანებს. კავკასიელი ხალხის მესიანიზმი
და მისგან მომდინარე თეოლოგიურ-ფილოსო-
ფიური კორდინატები ნათელი, აღიარებული
გამოცდილი და აბსოლუტურია. იგი მსოფლიო
ხალხის ჯანსაღი მომავლის საწინდარია.
არ არსებობს არცერთი წესი თუ ჩვევა, რო-
მელსაც კავკასიური წარმოშობის ხალხი ყო-
ველდღიურ ყოფაში აღიარებდეს და გაერთია-
ნებული ერების ხალხთა ურთიერთობის წეს-
დებას ეწინააღმდეგებოდეს. პირიქით, დღე
მსოფლიო ხალხთა ფორუმის წესდების ჰუმა-
ნური საფუძვლები კავკასიელთა ადათის იდ
ნტურია.

კავკასიური მოდგმის ხალხი ერთ მუშტა
დაა შეკრული საკუთარი ადათის შესანარჩუ
ნებლად. იგი სისხლი სისხლთაგანია კავკა
სიური მოდგმის ხალხისა და მისგან გამომ
დინარე, მის შექმნაში კავკასიური მესია
ნიზმის გათვალისწინებით კავკასიის ყოვე
ლი კუთხისა და კუნჭულის მცხოვრები იღე-
ბდა მონაწილეობას და კვლავაც მიიღებს.
ამიტომ მისი საყოფიერო პრინციპები ადა-
მიანის აბსოლუტურ თავისუფლებას ვარაუ-
დობს. ისტორიას არ ახსოვს ისეთი ჰუმა-
ნისტი, გინდაც იგი უტოპისტი ყოფილიყო,
რომელსაც უფრო სრულყოფილი სახელმწიფო-
ებრივი კონსტიტუცია ევარაუდოს ან წარ-
მოესახოს, ვიდრე კავკასიური ადათია. მა-
რთალია, კავკასიური წარმოშობის ხალხის
პოლიტიკური "ფასადი" შუა საუკუნეების
რელიგიით იყო განპირობებული, მაგრამ მი-
სი შინაგანი ცხოვრება კავკასიური ადათის
ერთგული რჩებოდა.

კავკასიური მოდგმის ხალხის ადათი მშვ
დობისათვის მებრძოლი ხალხის ადათია. მის
ტრადიცრული "მვლისა და რკინის მკვეთელი
მახვილი" აგრესორებისა და აგრესორობის
წინააღმდეგაა მიმართული. "მვალი" და "რკ
ნა" დამპყრობ არიელთა მითოსურ-სიმბოლური
ნიშნებია, ხოლო სამყაროული ღვარცოფისა
და პირცეცხლთა წინააღმდეგ მტკვარ-არაქ-
სის ეპოქაში მოდერნიზებულიმა, იბერიულ-
კავკასიურმა იდეოლოგიამ საიმედო დამცვე
ლად ცა-დედის ნათელი შვილი, თეთრცხენი-
ანი მხედარი აღიარეს. იგი ერის წინამა-
ვალი მებრძოლი შვილის იდენტური მხედარი
რომელთა ერთობა გალაქტიკური ნათელია. ყო
ფიერთა მიწიერი სახელი ნათლიძეა. დღეს,
როცა გულარძნილი ბოროტება მშობელ მიწაზ
დათარეშობს, კავკასიელი ხალხი, როგორც
ყოველთვის, თავის გამოცდილ ძალებს მოუ-
ხმობს, წინამძღვრადაც და ზურგის გასამა
გრებლადაც.

კავკასიელი ხალხი არასრულყოფილი რე-
ლიგიების მიმდევართ სამყაროს შემოქმედ
აბსოლუტურ მშვენიერებაზე მიუთითებს. კა
ვკასიელი ხალხის სინდისი და ნამუსი მშვ
ნიერების (იგივე მსოფლიო ჰარმონიის) მე
სიანურ საძირკველზეა ამოზრდილი. ამიტომ
სინდის-ნამუსს ყოველ უბანში მშვენიერე-
ბის შემჩნევა ენაცვლება, ხოლო პიროვნე-
ბა და საზოგადოება საკაცობრიო და საურ-
თიერთო სიმშვიდის დაცვას ემსახურება.

კავკასიური ადათი მსოფლიო ხალხთა გა
ნახლებული ყოფის საწინდარია და სიამოვ-
ნებით იხილავდნენ მსოფლიო ხალხებს კავ-
კასიური საყოფიერო და კოსმოგონიურ თვალ
თახედვის მიმდევრებად.

## მ ი მ ა რ თ ვ ა

კავკასიელებო, მშვიდობა და თანმიმდევრულად ამოუდექით ერთმანეთს გვერდში და შექმენით ერთიანი, სრულუფლებიან მოქალაქეთა თავისუფალი სახელმწიფო. დარწმუნებით მოგახსენებთ, რომ წინაპართა კანონების ეთიკური ძირები თავისუფალწილოვნებათა საზოგადოების არსებობის გარანტიას გვაძლევს. კავკასიურ ტრადიციას საფუძვლად უდევს ძველზე ძველი და ახალზე ახალი, მარადი თავისუფლებისათვის მებრძოლი მშვენიერების მაღალი ფერთმენი. კავკასიელებო, წინაპართა სულები თავს დაგვტრიალებენ მათი გამოცდილება დიდებული მომავლის საიმედო საყრდენია. საჭიროა ვიცოდეთ, რომ წინაპართა ჩამოქმედებითი კანონები კავკასიელ ხალხთა კონსტიტუციაა.

## ღ მ ე რ თ ო, კ ა ვ კ ა ს ი ა გ ა ა ე რ თ ი ა ნ ე!

ზემოთ ნახსენები სიტყვები საწინააღმდეგოა იმ მუდმივად სახმარი ფრაზისა და საქმიანობისა, რომელსაც კავკასიელი ხალხის მუდმივ მონოლითში საყოფად მიმართავდნენ და მიმართავენ ჩვენ გარეთ მყოფი დიდი იმპერიული გაერთიანებების ოფიციალური, თუ, არა ოფიციალური მოღვაწენი. აღმოსავლური რელიგიების სასულიეროებას მაჰ-სულთანებისაგან ლოცვა-კურთხევა ჰქონდა მიღებული კაბებდა ღვთის-მსახურების დროს წარმოთქვამ სიტყვები: "ღმერთო საქართველოს ნუ გააერთიანებო", საქართველოს გაერთიანებაში მთელ კავკასიის გაერთიანებას გულისხმობდნენ. მტერმა იცის და იცოდა, რომ, თუ საქართველო გათავისუფლდებოდა კავკასიელი ხალხები მის ირგვლივ შეკავშირდებოდნენ. დღემდე ასეთ პრაქტიკას წარმართებით იყენებდნენ ქრისტიანი მეზობლები. გავიხსენოთ ბიზანტიელ მღვდელ-სარდალთა საქმიანობები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გვტაცებდნენ ქართულ მიწებს. საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ ვახტანგ გორგასალს ბიზანტიამ ეპისკოპოსმა კბილები ჩაამტვრია. კონსტანტინეპოლის საპატრიარქო საქართველოს კათალიკოსს საუკუნეების განმავლობაში არ უთმობდა დასავლეთ საქართველოს სამოძღვროს. შუა გაჩლიჯეს ქართულ-სომხური ეკლესიები და ა.შ. და ა.შ.

ყოველი რელიგია ყოველ ეპოქაში სახელმწიფოს ემსახურებოდა. დიახ, ემსახუროს ჩვენში არსებული ყოველი რელიგიაც ერთიან კავკასიურ სახელმწიფოს. აქვე გვსურს კავკასიური წარმოშობის ყოველი მოქალაქე დავარწმუნოთ, რომ სრულ პიროვნულ თავისუფლებას მიაღწევს, თუ ტრადიციული ეთიკის ბაზაზე შესძლებს სრულიად კავკასიის პოლიტიკურ გაერთიანებას.

ამიტომ, კავკასიური წარმოშობის ხალხთა ერთიანობის საინიციატივო ჯგუფის სახელით მოგიწოდებთ ყოველ კავკასიელ მოქალაქეს, კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა სასულიერო პირს, მუსულმანს, ქრისტიანს, შეკრება-ქადაგებაზე წარმოთქვან სავალდებულო სიტყვები:

ღ მ ე რ თ ო, კ ა ვ კ ა ს ი ა გ ა ა ე რ თ ი ა ნ ე!

[illegible]

## მ ო დ ა გ ა ვ ი დ ა!

### დიალოგი

გიორგი: ბატონო ქაიხოსრო, მაინც რით განისაზღვრება აფხაზი ინტელიგენციის რაობა?

ქაიხოსრო: მთავარია პასპორტში გეწეროს, რომ აფხაზი ხარ, დაამთავრო რუსული სკოლა, თურქულ-მუსულმანურ პოზიციას იცნობდე და გეზარებოდეს ქართველი, ან საქართველოს კულტურა.

გიორგი: როგორი იყო ადრე აფხაზი ინტელიგენტი?

ქაიხოსრო: იცავდა ტრადიციას, ამაყობდა ქართული კულტურით, პატივსცემდა და ეკრძალებოდა აფსუურ და დანარჩენ კავკასიელ ხალხებს.

გიორგი: დღევანდელი აფხაზი ინტელიგენტი, რომელი ხალხის შვილია?

ქაიხოსრო: რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ებრძოლო ქართულ ორიენტაციას, მოდაა ბატონო, მ ო დ ა ა მ ა თ ი დ ე დ ა.

გიორგი: აფსუა ხალხის შვილობა არ ეთქმით?

ქაიხოსრო: აფსუა ხალხის შვილები რომ იყვნენ, ქართველი ინტელიგენტები იქნებოდნენ, ანუ აფხაზი ინტელიგენტები; ეცოდინებოდათ ქართული ენა, საწარმო-დაწესებულებები იმუშავებდნენ ქართულ ენაზე, იამაყებდნენ საერთო ქართული კულტურითა და აფსუა და აფხაზი ხალხის ტრადიციული მეგობრობით.

გიორგი: თქვენ აფხაზის ქართველობას უსვამთ ხაზს!..

ქაიხოსრო: აფხაზი იყო ქართველი და დარჩება ქართველად!..

გიორგი: აფსუური ენა ხომ არის აფხაზეთში რესპუბლიკის ენად?

ქაიხოსრო: მართალი ბრძანებაა, ასე გახლავთ, ეს რუსმა და გარუსებულმა ქართველმა ბოლშევიკებმა ჩაატარეს; დამახინჯებული ქართველი ხალხის დაშლისა და გადაგვარების მიზნით, მაშინ ეს მოდაში იყო.

გიორგი: ვითომ მოდა გავიდა?!

ქაიხოსრო: კუდებიღაა დარჩენილი, ისიც გაივლის.

გიორგი: გამოდის რომ აფსუა ხალხი ნამოთარაგეს აფხაზეთში.

ქაიხოსრო: უბრალო ხალხს ვერ გააბრიყვებ, შეიძლება თითო-ოროლა აიყოლო, რომლებიც, ალბათ, დასტოვებენ საქართველოს.

გიორგი: მუსულმანებიც ხომ არიან აფსუები?!

ქაიხოსრო: მუსულმანები ქართველებიც არიან, მთავარია უცხოეთის არ იყოს. აფსუა ჩვენი ნათესავი ხალხია. მთიელია და ამაყი, უტრადიციოდ ამპარტავნობაში გადადის. ხალხთან მტაცები არ შეიძლება ჰყოთ.

გიორგი: როგორ მოვიქცეთ, თოფს რომ ისვრიან?

ქაიხოსრო: სოფელმა, გვარმა უნდა მოუაროს თავის შვილს, სხვა შემთხვევაში თავად სოფელმა, გვარმა უნდა აგოს პასუხი, ტრადიციით ასე გვაქვს ჩაგულისხმევი.

გიორგი: ბატონო ქაიხოსრო, ხომ იცით, რომ ნაკრევარები მეტი დღევანდელი აფხაზი ქართველია, იმერელია, მეგრელია, რაჭველია და სხვა კუთხის წარმომავალი. დღეს ტყვიას თავიანთ მოგვარეებსა და ბიძაშვილებს ესვრიან...

ქაიხოსრო: ვიღაც არ იცის, რომ აფსუასა და ქართველის შვილი რომ არ არის. ის რომლის შვილია, მაღალთამთავრობის ძიება გააქრა.

გიორგი: თანამდებობის კორთველის მაძიებლები!

ქაიხოსრო: დიახ, თანამდებობის შენარჩუნებისათვის ისვრის ნაურდალ შურიგით წაქეზ თოფს. მოდა რომ გავიდა მიხვდა და ლოჩაყურის ედება. მალე აფსუა ხალხიც გვერდს აუქცევს.

გიორგი: არასოდეს ყოფილანო მათი შვილები. აბჯერად მოდაც გაუვიდათ და... გმადლობთ, საუბრისათვის!

---

რედაქტორი: [illegible]

ჯავჯავაძის ქ. №1 I კორპ.

ფოლკლორისტიკის კათედრა

## მ ც ი რ ე დ ი ა ლ ო გ ი

გიორგი: ბატონო ქაიხოსრო, კავკასიელ ხალხთა არეულობა [illegible] აღმოცენებული თუ სტიხიალურზე?

ქაიხოსრო: ფაქტია, რომ მაღალი მდგომარეობის მაძიებლებო, იმ მარყუჟში ყოფენ თავს, სადაც ერთისიტყვის თქმას ასწრებენ: "ფული"!

გიორგი: მერე, სად არის ყოველის ადგილის მიმჩენელი კავკასიური ადათ-წესები?

ქაიხოსრო: არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს! ფულნაგებები ფაფხურობენ, კანში ძვრებიან, ტრადიციას ადათს თვალის მოფერებას არ აცლიან.

გიორგი: იქნებ დაგვიძველდა?...

ქაიხოსრო: რაც ერთიან სამყაროს იგივეობასა და ევოლუციაშია ჩაწნულ-ნავარაუდევი, არ ძველდება!...

---

გიორგი: ბატონო ქაიხოსრო, ამბობენ, აფრიკის ერთ კუთხეში უხსოვარ დროიდანვე ლომი და ხბო ერთად სძოვსო.

ქაიხოსრო: ალბათ, ევროპული კონსტიტუციის საფუძვლების არსებობას არ გრძნობენ.

გიორგი: რას ბრძანებთ, ბატონო ქაიხოსრო, ცხოველები ვერც წაიკითხავენ!

ქაიხოსრო: წაკითხვა არ უნდათ, შეკრული მიუწყეთ საქმე!...

---

გიორგი: ბატონო ქაიხოსრო, ფულის მოტრფიალეთ კავკასიური ტრადიციის დაცვაც სურთ!

ქაიხოსრო: შესაძლოა, წინაპართა კანონის დაცვა-ტრფიალის გარეშე კი შეუძლებელი..

---

გიორგი: ბატონო ქაიხოსრო, ვერ გავიგე, ვინ ზის კავკასიელ ინტელიგენტში, რუსი, თურქი, ირანელი თუ ეშმაკი?!

ქაიხოსრო: კავკასიელ კაცში ტრადიციული კავკასიელი თუ არ ზის, მაშინ ეშმაკი ზის, რუსის, თურქის, ირანელის და თავად ეშმაკის სახით.

---

გიორგი: ბატონო ქაიხოსრო, ამბობენ, აუცილებელი და შესაძლებელიო კავკასიელ ხალხთა ერთიანობა.

ქაიხოსრო: რაც აუცილებელია, ის შესაძლებელიცაა, და, ნურვინ შეეცდება მის აცილებას.

## თ ე თ რ ო ნ ი

თეთრონი, ცა-ლალი თეთრონი,
რაინდი ახალი მითის.
ძალალი კაცობის საამო წადილმა,
მშვენების დაცვა იცის.
თეთრონი, ცა-ლალი თეთრონი,
მიწაზე დიდებას ჰქვია.
საითაც დაგვეჭირვება
იმ მხარის მშველელად მოვა.
მომინდა თეთრონით ომი,
მტერს დავუშინო ისარი.
თავად რაცა ვარ, იგი ვარ,
ნაამხრი მტერიც ის არი.
ცა-დიდი სივრცე გალაქტიკა,
ფერი, კაშკაშა ფერი.
საზღვარუპოვნელ კიდე განს მიითნევს
თეთრი ფრთოსანი ფიქრი.
ნათელი განწყობა დროს ერევა.
ღელავ ეკრძალვის რისხვა.
ჩვენი არსების ხორცსავსე წადილს
მშვენების მაძიებელი ერქვა.
თეთრონი, ცა-ლალი თეთრონი.
რაინდი ახალი მითის.
ჩვენი არსების საამო წადილმა
მშვენების დაცვა იცის.
მომინდა თეთრონით ომი,
მტერს დავუშინო ისარი,
თავად რაცა ვარ, იგი ვარ,
ნაამხრი მტერიც ის არი.
თეთრონი, ცა-ლალი თეთრონი,
მიწაზე დიდებას ჰქვია.
საითაც დაიჭირვოდი
იქეთ მშველელად მოვა.

[illegible]